

# ტესტი ისტორიაში

## II ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი მსჯელობაა მართებული ბერძნული კოლონიზაციის შესახებ?

- ა) კოლონიის მოსახლეობის საქმიანობას მეტროპოლიის უხუცესთა საბჭო წარმართავდა, რადგან საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებდა;
- ბ) კოლონიის ადგილის შერჩევასა ზღვასთან სიახლოვეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან მათი ეკონომიკური კეთილდღეობა ძირითადად ვაჭრობას უკავშირდებოდა;
- გ) ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასახლებული კოლონისტები მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის კულტების თაყვანისცემას იწყებდნენ მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად;
- დ) კოლონიებში გადასახლებული ვეტერანები სამხედრო შენაერთებს ქმნიდნენ, რომლებსაც ადგილობრივი მეფეები ქირაობდნენ.

(1) 2. რა პირობის საფუძველზე მოწესრიგდა ურთიერთობა ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის II საუკუნის I ნახევარში?

ა) ფარსმან II-მ იკისრა ხარკის სახით ასი ქალ-ვაჟის გაგზავნა რომში;

ბ) იმპერატორი დათანხმდა ფარსმან II-ის მემკვიდრის სომხეთში გამეფებას;

გ) ფარსმან II-მ მორჩილების ნიშნად მონაწილეობა მიიღო დაკების წინააღმდეგ ომში;

დ) იმპერატორმა აღიარა ფარსმან II-ის მიერ შავიზღვისპირა მიწების შეერთება.

(1) 3. რომელი ფაქტია მართებული რომის იმპერიის ისტორიის შესახებ?

- ა) ალარიხმა რომის ალების შემდეგ თავი დასავლეთ რომის იმპერიის მმართველად გამოაცხადა;
- ბ) რომის იმპერატორმა ანდერძით იმპერია თავის ორ ვაჟს - არკადიუსსა და ჰონორიუსს - გაუყო;
- გ) იმპერატორის დაცვის მეთაური ოდოაკრი აღმოსავლეთ პროვინციებს დაეპატრონა;
- დ) იმპერატორ იუსტინიანეს გაქრისტიანებით რომის იმპერიის დაცემა დაიწყო.

(1) 4. რომელი მოსაზრებაა მართებული სელჩუკთა ტომის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ?

ა) სელჩუკი ერქვა ერთ-ერთ მეთაურს, რომელმაც თურქული ტომების ნაწილი გააერთიანა;

ბ) სელჩუკი ეწოდებოდა იმ ველს, რომელზედაც ისინი თავდაპირველად ცხოვრობდნენ;

გ) სელჩუკი ეწოდებოდა თურქული დამწერლობის ერთ-ერთ სახეობას;

დ) სელჩუკი ერქვა ამ თურქული ტომის მთავარ ღვთაებას.

(1) 5. რომელი მსჯელობაა მართებული VI ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ?

- ა) ჯვაროსნები ალჟირში შეიჭრნენ და დედაქალაქი აიღეს, თუმცა მალე მისი დატოვება მოუხდათ;
- ბ) ჯვაროსნებმა ბაღდადი და დამასკო აიღეს, მაგრამ ვერ შეძლეს იერუსალიმის დაბრუნება;
- გ) საფრანგეთის მეფე შარლ IX-ის მეთაურობით ჯვაროსნებმა აკრის ციხის გარნიზონი ალყისაგან იხსნეს;
- დ) იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ ეგვიპტის მმართველთან შეთანხმებით იერუსალიმი დროებით დაიბრუნა.

(1) 6. რომელი მსჯელობაა მართებული ოსმალეთის სახელმწიფოს წარმატების შესახებ XIV საუკუნეში?

- ა) ოსმალებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაილაშქრეს, აიღეს ქალაქი თესალონიკი და იგი თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს;
- ბ) ოსმალებმა ბიზანტიის იმპერიას მცირე აზიური ტერიტორიები წაართვეს და დედაქალაქი ბურსაში გადაიტანეს;
- გ) მუავიას მეთაურობით ოსმალები ბოსფორზე გადავიდნენ, ადრიანოპოლი უბრძოლველად აიღეს და დედაქალაქად აქციეს;
- დ) სულთან სანჯარმა ჯარი კონსტანტინოპოლისაკენ დაძრა, ქალაქი ხანგრძლივი ალყის შედეგად აიღო და ისტამბული უწოდა.



(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული შაჰ-აბას I-ის მოღვაწეობის შესახებ?

ა) გაატარა რელიგიური და საგანმანათლებლო რეფორმები;

ბ) საბოლოოდ გააუქმა მეფობა ქართლსა და კახეთში;

გ) ხანგრძლივი და წარმატებული ომი აწარმოა ოსმალეთთან;

დ) სასტიკად დაამარცხა აჯანყებული ავღანელები და ბაქტრიელები.

(1) 8. რომელი მოვლენა უკავშირდება ინგლისში რესპუბლიკური მმართველობის პერიოდს?

- ა) ანგლიკანური ეკლესიის ჩამოყალიბება;
- ბ) სამხედრო დაპირისპირება პორტუგალიასთან;
- გ) ჩრდილოეთ ამერიკული კოლონიების აჯანყება;
- დ) რეპრესიები კათოლიკე ირლანდიელების მიმართ.

(1) 9. რომელი გამოჩენილი ევროპელი მოაზროვნე არ მოღვაწეობდა განმანათლებლობის ეპოქაში?

ა) თომა აკვინელი;

ბ) შარლ ლუი მონტესკიე;

გ) დენი დიდრო;

დ) ჟან-ჟაკ რუსო.

(1) 10. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია რუსეთის იმპერიის გამოსვლა შვიდწლიანი ომიდან?

ა) ემელიანე პუგაჩოვის მეთაურობით რუსეთში დაწყებულმა გლეხთა დიდმა აჯანყებამ;

ბ) რუსეთის ტახტზე პეტრე III-ის ასვლამ, რომელიც პრუსიის მეფისადმი სიმპათიებით გამოირჩეოდა;

გ) იტალიისა და ავსტრიის უარმა, დაეკმაყოფილებინათ ნიკოლოზ I-ის პრეტენზიები პოლონეთში;

დ) ინგლისელთა წაქეზებით შვედეთისა და ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადებამ.

(1) 11. რომელი მოსაზრებაა მართებული ვენის კონგრესის შესახებ?

- ა) განიხილავდნენ საფრანგეთის პირველი იმპერიის ომების შემდგომი ევროპის მოწყობის საკითხებს;
- ბ) მსჯელობდნენ საფრანგეთში დაწყებული რევოლუციის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე;
- გ) ცდილობდნენ, შეემუშავებინათ ერთიანი კოლონიალური პოლიტიკა აფრიკაში;
- დ) ადგენდნენ კონტინენტური ბლოკადის მოქმედების აუცილებელ პრინციპებს.

(1) 12. რომელი სახელმწიფო ხელმძღვანელობდა იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლას XIX საუკუნეში?

ა) ნეაპოლის სამთავრო;

ბ) პაპის ოლქი;

გ) ტოსკანის რესპუბლიკა;

დ) პიემონტ-სარდინიის სამეფო.

(1) 13. სხვა მიზეზებთან ერთად, რა მოვლენამ განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაცია, ერთა ლიგის შექმნა?

ა) მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა;

ბ) რუსეთის რევოლუციამ;

გ) პირველმა მსოფლიო ომმა;

დ) დეკოლონიზაციის პროცესმა.

(1) 14. რომელი ინფორმაციაა მართებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ?

- ა) საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა;
- ბ) რუსეთის იმპერიამ აღიარა საქართველოს ავტონომია;
- გ) საქართველო გახდა ამიერკავკასიის ფედერაციის წევრი;
- დ) საქართველო შეუერთდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.



(1) 15. რომელმა სახელისუფლებო ორგანომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს?

ა) საკონსტიტუციო კომისიამ;

ბ) სახალხო ყრილობამ;

გ) უზენაესმა საბჭომ;

დ) მინისტრთა კაბინეტმა.

### ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომის სახელმწიფოში მომხდარი მოვლენები:

1. იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნა
2. იმპერატორ ადრიანეს ვიზიტი რომის მცირე აზიურ პროვინციებში
3. მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ დავით აღმაშენებლის მეფობისას მომხდარი მოვლენები:

1. კახეთ-ჰერეთის შემოერთება
2. ყივჩაღთა ჩამოსახლება
3. სელჩუკთათვის ხარკის შეწყვეტა

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნეში მომხდარი მოვლენები:


1. საფრანგეთ-პრუსიის ომი
2. სამოქალაქო ომი აშშ-ში
3. უნგრელების აჯანყება ავსტრიელთა წინააღმდეგ

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





**სქემის პირობითი აღნიშვნები**

- |  |                               |  |                             |
|--|-------------------------------|--|-----------------------------|
|  | ჯარის წინსვლა                 |  | ქვემეხები                   |
|  | ჯარის უკანდახევა              |  | ტყე                         |
|  | შვედების კავალერია            |  | ჭაობი                       |
|  | შვედი ქვეითები                |  | სოფელი კირხპოლმი            |
|  | შვედეთის მეფის ბანაკი         |  | პოლონელ-ლიტველთა კავალერია  |
|  | ჰენრიკ ვრედეს დალუპვის ადგილი |  | პოლონელ-ლიტველი ქვეითები    |
|  |                               |  | უკრაინელ კაზაკთა კავალერია  |
|  |                               |  | თათართა კავალერია           |
|  |                               |  | იან კაროლ ხოდკევიჩის ბანაკი |

1605 წელს შვედებმა ლივონიის რეგიონის დაპყრობა სცადეს. პოლონელ-ლიტველთა მხედართმთავარს, ხოდკევიჩს შვედებზე მცირე ჯარი ჰყავდა, თუმცა წინააღმდეგობას აგრძელებდა. როდესაც შვედეთის მეფემ მტრის მცირერიცხოვნების შესახებ შეიტყო, ლაშქრის დიდ ნაწილთან ერთად ხოდკევიჩთან შესაბამისად დაიძრა. შვედების ჯარი გორაკებზე განლაგდა. პოლონელ-ლიტველები და მათი მოკავშირეები დაბლობში იდგნენ. ხოდკევიჩს მტრის დაბლობში ჩამოტყუება სურდა, ამიტომ ჯარი მოსაჩვენებლად უკან დახია. შვედეთის მეფემ ჩათვალა, რომ მოწინააღმდეგე გასაქცევად ემზადებოდა და ლაშქარი დაბლობში ჩაიყვანა. შვედები ოთხ რიგად განლაგდნენ. როგორც კი შვედები დაბლობში ჩავიდნენ ხოდკევიჩის ჯარი შეტევაზე გადავიდა, გამარჯვებულის ვინაობა ფლანგებზე გამართულ ბრძოლას უნდა გამოევლინა, აქ კავალერია დაუპირისპირდა ერთმანეთს. ბრძოლისას ხოდკევიჩმა ერთ-ერთ ფლანგს თავისი ბანაკიდან უკანასკნელი რეზერვი მიაშველა. პოლონელ-ლიტველთა ჯარმა ორივე ფლანგზე გაიმარჯვა, ცენტრში მყოფი შვედი ქვეითები ალყაში მოექცნენ. ამასობაში შვედების მარცხენა ფლანგი ჩრდილოეთის მიმართულებით გაიქცა, თუმცა ადგილმდებარეობის თავისებურების გამო სწრაფად ვერ გადაადგილდებოდა და ბევრი დაიღუპა. პოლონელ-ლიტველთა კავალერიამ შვედეთის მეფემდეც მიაღწია, მას ცხენი მოუკლეს. მეფე ერთ-ერთი დიდებული, ვრედეს, თავდადება იხსნა, რომელმაც მეფეს საკუთარი ცხენი დაუთმო. **კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:

(1) **19.1.** რომელი რეგიონის დაპყრობას შეეცადნენ შვედები 1605 წელს?

(1) **19.2.** კონკრეტულად რა ხერხს მიმართა ხოლკევიჩმა, რათა შვედები დაბლობში ჩამოეტყუებინა?

(2) **19.3.** პოლონელ-ლიტველთა გარდა, რომელი ეროვნების ჯარისკაცებისაგან შემდგარმა კავალერიამ მიიტანა იერიში შვედთა მარჯვენა ფლანგზე ბრძოლის მსვლელობისას?

(1) **19.4** პოლონელ-ლიტველთა ლაშქრის კონკრეტულად რომელ ფლანგს აღმოუჩინა სამხედრო დახმარება ხოლკევიჩმა ბრძოლის მსვლელობისას?

(1) **19.5.** კონკრეტულად რა იგულისხმება „ადგილმდებარეობის თავისებურებაში“, რის გამოც შვედთა მარცხენა ფლანგის გაქცეული ჯარისკაცები ვერ გადაადგილდებოდნენ სწრაფად?



## ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(2) **20.1.** დაასახელეთ ისტორიული პიროვნება, რომელიც ილუსტრაციაზე აჩრდილის სახით არის გამოსახული და ილუსტრაციაზე არსებული რომელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?


(2) **20.2.** დაასახელეთ ილუსტრაციაზე გამოსახული მეორე პიროვნება და ილუსტრაციის მიხედვით, რა აერთიანებს მას აჩრდილის სახით გამოსახულ პიროვნებასთან?


(1) **20.3.** რა ეწოდება ისტორიულ მოვლენას, რომელსაც ეძღვნება ილუსტრაცია?

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





### რუკის პირობითი აღნიშვნები

- |  |                           |  |                               |  |   |  |   |
|--|---------------------------|--|-------------------------------|--|---|--|---|
|  | ლაშქრობების მიმართულებები |  | აღებული ქალაქები              |  | სახელმწიფოს საზღვრები 1512 წლამდე                   |  | ორ სახელმწიფოსა და მათი გავლენის სფეროებს შორის 1555 წელს გავლენიანი საზღვარი |
|  | ლაშქრის უკანდახევა        |  | გრძობის აღმნიშვნელი და თარიღი |  | სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება 1512-1520 წლებში |  | სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება 1521-1566 წლებში                           |
|  | ლაშქრის უკანდახევა        |  | ქალაქი                        |  | ვასალური პოლიტიკური ერთეულები                       |  |   |
|  | ლაშქრის უკანდახევა        |  | დედაქალაქი                    |  |   |  |   |

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

- (1) **21.1.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის ლაშქრობებისა და ტერიტორიული გაფართოების ეტაპებია ასახული რუკაზე?
- (1) **21.2.** რუკის მიხედვით, გარდა მოწინააღმდეგის დამარცხებისა, რა იყო 1526 წელს გამართული ბრძოლის შედეგი?
- (2) **21.3.** რუკის მიხედვით, რომელმა ქალაქმა შეძლო მტრის თავდასხმის მოგერიება და რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ამას?
- (2) **21.4.** რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფო დამარცხდა 1514 წელს გამართულ ბრძოლაში და რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს მის მარცხს?
- (2) **21.5.** დაასახელეთ რუკაზე არსებული ორი მონაცემი, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობდა ერთიანი სამეფო.

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 22.

XI საუკუნის 50-იან წლებში სამეფოში შექმნილი ვითარების გამო მეფე ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა ბიზანტიაში წასულიყო და იმპერატორს შეხვედროდა. მისი მრჩევლების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა მეფის გადაწყვეტილებას, სხვები კი ეწინააღმდეგებოდნენ.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის ბიზანტიაში წასვლის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის ბიზანტიაში წასვლის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.



## დავალება 23.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა განიხილავდა ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევისა და მის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარების შესვლის საკითხს. ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ამ იდეას, მეორე ნაწილი კი არ ეთანხმებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 24.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, დასავლელმა მოკავშირეებმა ელ-ალამეინის ოპერაცია ჩაატარეს.

### კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

**ინსტრუქცია დავალებისათვის №25.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

**ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**



## საქართველოს მთავრობის წერილი

საქართველოს მთავრობა. 13 ივნისი 1922. პარიზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს. თბილისი.

ჩვენი წერილი გენუის კონფერენციის მუშაობის შესახებ თქვენ ალბათ უკვე მიიღეთ. გაცნობებთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს. ჩვენ უკვე გწერდით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფოსა და ერების წარმომადგენლები სიმპათიით ეპყრობოდნენ საქართველოს საკითხს და მხარს გვიჭერდნენ, ინგლისის წარმომადგენელი და კონკრეტულად კი ლოიდ ჯორჯი ყველა კომისიაში ან თავს იკავებდა ან ჩვენი წინააღმდეგი იყო, ყოველთვის, როდესაც ჩვენი საკითხი დგებოდა. ირკვევა შემდეგი, ლოიდ ჯორჯი მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსებთან და სურდა

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მათთან შეთანხმება. მან რუსებს აღუთქვა იურიდიული აღიარება და კრედიტის გამოყოფა. სამაგიეროდ ცდილობდა რუსებისგან უპირატესობა მოეპოვებინა კავკასიის ნავთობის საკითხებში. ამიტომ ლოიდ ჯორჯი თვლიდა, რომ კავკასია უნდა დარჩენილიყო რუსების ხელში და მათი მეშვეობით მოეხდინა მისი ექსპლუატაცია. ინგლისელებმა ვერ შეძლეს ბერძნების მეშვეობით თურქების დამარცხება. ბერძნები უმეტესად ვაჭარი ხალხია და მათთვის იოლი არ იყო ომში დაემარცხებინათ ხალხი, რომელსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება აქვს და ბრძოლისუნარიანია. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებს მორალურად და მატერიალურად ინგლისელები უჭერდნენ მხარს.

ახლა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ლოიდ ჯორჯი ცდილობს, დაეყრდნოს რუსებს, გაამაგროს ისინი კავკასიაში და რუსების

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

მეშვეობით შეაჩეროს თურქები. ბერძნებმა არ გაამართლეს მისი იმედები, ახლა კი სურს, რომ სცადოს რუსები. ამბობენ, რომ დღეს მას რუსების აღარ ეშინია, რადგან ლოიდ ჯორჯის აზრით დღეს რუსები სუსტები არიან. შეიძლება მათი გამოყენება თურქების წინააღმდეგ. შემდეგ კი როდესაც საჭირო იქნება, რუსებსაც მიუჩენს ადგილს.

ჩვენ არ ვიცით რამდენად განახორციელებს ამ თამაშს ლოიდ ჯორჯი. მაგრამ ჩვენ მთელი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ მის ავანტიურას - კავკასიაში განამტკიცოს ბოლშევიკები.

მივმართეთ ოპოზიციის ლიდერებს: მაკდონალდს, ჰენდერსონს და სხვებს. ავუხსენით მათ ყველაფერი და ვთხოვეთ ენერგიული მხარდაჭერა ამ ავანტიურის წინააღმდეგ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

თუ ინგლისის მუშათა პარტია, რომელიც 8 მილიონ წევრს ითვლის და ინგლისის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრი ფაქტორია, ნამდვილად მხარს უჭერს საკუთარ პრინციპს - ცალკეული ერების დამოუკიდებლობის შესახებ და სურს პატიოსნად შეასრულოს საკუთარი პროგრამა, საქმით უნდა დაუდასტუროს ეს მთელ მსოფლიოს. უნდა გამოვიდეს ჩვენი და სხვა დაჩაგრული ხალხების დასაცავად.

მაკდონალდმა და ჰენდერსონმა ენერგიული მხარდაჭერა აღგვითქვეს. უახლოეს ხანებში მაკდონალდი მკაცრად გააკრიტიკებს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას.

თქვენ იცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოფნისას ინგლისელებს ჩვენი რკინიგზით გადაჰყავდათ

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

საკუთარი ჯარი და გადაჰქონდათ სამხედრო მასალები. ამის გამო ჩვენი რკინიგზა თითქმის სრულიად გაცვდა და ამიტომ ინგლისელებს ჩვენთვის უნდა გადაეხადათ რამდენიმე ათეული ათასი ფუნტი სტერლინგი.

ამ საქმესთან დაკავშირებით ჩვენ ადვოკატად ავიყვანეთ გიორგი გვაზავა. ის მუშაობს, მაგრამ აქამდე არაფერი გამოვიდა. მათ არ უნდათ გადახდა და ყოველთვის ნახულობენ გარკვეულ მიზეზებს.

პატივისცემით სოსიპატრე ასათიანი.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

## კითხვები:

- (1) **25.1.** რა კონკრეტულმა მოვლენამ განაპირობა, რომ საქართველოს მთავრობა 1922 წელს ემიგრაციაში პარიზში იმყოფებოდა?
- (1) **25.2.** დოკუმენტის მიხედვით, რას ეხებოდა ასათიანის მიერ თბილისში გამოგზავნილი წინა წერილი?
- (1) **25.3.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად დაასახელებთ, რას აკეთებდა ლოიდ ჯორჯი საქართველოს საკითხის განხილვისას.
- (1) **25.4.** ვისა და ვის შორის მომხდარ ომზეა საუბარი დოკუმენტში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)



(1) **25.5.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ აღარ ეშინოდა ლოიდ ჯორჯს რუსების?

(1) **25.6.** დოკუმენტის მიხედვით, რა იგულისხმება ლოიდ ჯორჯის „ავანტიურაში“?

(1) **25.7.** დოკუმენტის მიხედვით, რას აპირებდა „უახლოეს ხანებში“ მაკდონალდი?

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, რა საკითხთან დაკავშირებით ცდილობდა ლოიდ ჯორჯი რუსებისგან „უპირატესობის მოპოვებას“ და თქვენი აზრით, რატომ იყო ეს საკითხი მისთვის მნიშვნელოვანი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** დაასახელეთ დოკუმენტში მოხსენიებული ომის მონაწილე მხარეთაგან ერთის დადებითი და მეორის უარყოფითი თვისებები სამხედრო თვალსაზრისით.

(2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტულად რა უნდა გადაეხადა ბრიტანეთის მთავრობას და რატომ?

(2) **25.11.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ სამართლებრივი დავის დაწყებას და ვინ წამოიწყო ეს დავა?

(2) **25.12.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიხედვით, თქვენი აზრით, რატომ მიმართა საქართველოს მთავრობამ სწორედ ინგლისის მუშათა პარტიას და რა იყო ამ პარტიის პრინციპი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)